ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5724788

ნომერი: AR1863616

თარიღი : 26.11.2021

გაცემის თარიღი : 13.12.2021

გაცნობის თარიღი : 14.12.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , ბოლოში;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ჯაფარიძე პ/ნ 01017005727
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 52ბ

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 26 ნოემბრის AR1863616 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 01.19.24.007.006 მიწის ნაკვეთზე საწყობის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

1. მოთხოვნის შინაარსი -> მოთხოვნის ტექსტი: -> დეტალურად განიმარტოს რისი საწყობის მშენებლობა იგეგმება.
2. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:-> წარმოადგინეთ განახლებული, დღეის მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები, გადაღებული სხვადასხვა რაკურსით, თარიღის ფიქსაციით.
3. საინფორმაციო დაფა-ბანერი -> .საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.:-> წარმოადგინეთ განახლებული საინფორმაციო დაფა-ბანერი. გაცნობებთ, რომ დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება, შესაბამისად, ამოიღეთ ბოლო პუნქტი-შემსრულებელი. ასევე, ბანერზე დამატებით ასახეთ მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაცია.
4. წარმოადგინეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული სატრანსპორტო სქემა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში სერვიტუტით დაიტვირთოს მომიჯნავე ნაკვეთი იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული გამოყენებულ იქნება ნაკვეთთან მისასვლელად.
5. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გადის ხაზოვანი ნაგებობა ს/კ 01.04.602; (ლიანდაგი,463 მ.; მესაკუთრე-შპს „გუმი“), საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
6. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გადის ხაზოვანი ნაგებობა ს/კ 01.04.329; (რკინიგზის ლიანდაგი, 162.92 მ.; მესაკუთრე-სახელმწიფო), საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
7. წარმოადგინეთ საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების სქემა.

---. განგიმარტავთ: შენობა- ნაგებობის სიმაღლე დათვლილ უნდა იქნას საკუთარი საზღვრებიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე.

აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2021 წლის 26 ნოემბრის AR1863616 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.